ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N635

<u>პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავებისა და მართვის პროგრამა</u>

<u>გამარტივებული შესყიდვა</u>

ქ. თბილისი **7 დეკემბერი 2012 წელი**

ერთის მხრივ,
სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო
წარმოდგენილი მინისტრის პირველი მოადგილის - **გრიგოლ გიორგაძის** სახით,
მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N42,
საიდენტიფიკაციო კოდი: 204564934
სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222
ანგარიშის N: 200122900;
(შემდგომში „შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ
შპს „კომპანია GEOSM"
წარმოდგენილი დირექტორის - **თეიმურაზ ახობაძეს** სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N47,
საიდენტიფიკაციო კოდი: 404873614
საბანკო რეკვიზიტები: სს „პროკრედიტ ბანკი"
IBAN: GE45PC0223600100010827
(შემდგომში „მიმწოდებელი")

<u>წინამდებარე ხელშეკრლების გაფორმების საფუძველს წარმოადგენს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის (ბ) ქვეპუნქტი.</u>

1. **გამოყენებული ტერმინების განმარტებები**

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში-„ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და ბაზრის შესწავლის შედეგად შერჩეულ პირს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე დართული ყველა დოკუმენტით და დამატებით, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული;

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც შემსყიდველთან მოლაპარაკების საფუძველზე, აწვდის საქონელს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. **ხელშეკრულების საგანი**

2.1 წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საჭიროების დასაკმაყოფილებლად;

2.2 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს:

- <u>ქაღალდის გამანადგურებლის (შრედერი) შესყიდვა.</u>
- CPV კოდი: 30100000 - **საოფისე მანქანები, კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა;**

2.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის რაოდენობა და აღწერილობა მოცემულია **ფასების ცხრილში - დანართი N1,** რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

3. **ხელშეკრულების ჯამური ღირებულება და ანგარიშსწორება**

3.1 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს - **500.00 ლარს (ხუთასი ლარი და 00 თეთრი).**

3.2 მისაწოდებელი საქონლის ერთეულის რაოდენობა და ერთეულის ფასი მოცემულია **ფასების ცხრილში-დანართი N1,**

3.3 გადახდის ფორმა – უნაღდო.

3.4 დაფინანსების წყარო: **2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.**

3.5 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

3.6 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მიხედვით, მიღება–ჩაბარების აქტისა და საქართველოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციის საფუძველზე, **15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში.**

3.7 ფასების ცვლილების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებაზე.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 საქონლის მიღებას აწარმოებს ეკონომიკური დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი - **ლაშა კახაძე.**

4.2 საქონლის მიღება ხდება მიღება-ჩაბარების აქტისა და საქართველოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციის საფუძველზე.

5. საქონლის მიწოდების პირობები

5.1 მისაწოდებელი საქონელი უნდა აკმაყოფილებდეს **ფასების ცხრილში - დანართი N1–ში** მოცემულ მახასიათებლებს.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ **10 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს საქონლის მიწოდება საკუთარი ხარჯებით;**

5.3 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის ხარჯით მისამართზე: **ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №42.**

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად, ნივთობრივად უნაკლო და ახალი საქონელი.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველი შესყიდვის ობიექტის მიწოდებიდან 10 დღის განმავლობაში იტოვებს უფლებას განახორციელოს მიღებული საქონლის კონტროლი და/ან გამოცდა, რათა დარწმუნდეს მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან (ინსპექტირება).

6.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია დაესწროს ინსპექტირების პროცესს.

6.3 იმ შემთხვევაში, თუ საქონლის ინსპექტირებისას გამოვლინდა ნაკლი ან/და დეფექტი, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის შეტყობინებიდან 2 (ორი) დღის ვადაში უზრუნველყოს ნაკლიანი საქონლის უნაკლოთი და ახლით შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება.

6.4 იმ შემთხვევაში, თუ საქონლის ინსპექტირებისას არ გამოვლინდა საქონლის ნაკლი ან/და დეფექტი, შემსყიდველი ადგენს მიღება-ჩაბარების აქტს, სადაც მიუთითებს უნაკლო საქონლის რაოდენობის შესახებ.

6.5 საქონლის მიღებას აწარმოებს ეკონომიკური დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი - **ლაშა კახაძე.**

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

7.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. უფლებების გადაცემა

8.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

10.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი ეტყობინების შემდეგ:

10.1.1 თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

10.1.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.2 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

10.2.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

10.2.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

10.2.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლისა ან/და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების ენა და შეტყობინება

13.1 ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად ქართულ ენაზე და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

13.2 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ორი ეგზემპლარი - „შემსყიდველთან";

13.3 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის ან/და ელ. ფოსტის სახით, შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემში მითითებული მეორე მხარის მისამართზე;

13.4 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების გაგზავნიდან მე-3 დღეს იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო ადრე დგება.

14. გადასახადები და დაბეგვრა

14.1 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო	შპს „კომპანია GEOSM“
გრიგოლ გიორგაძე	თეიმურაზ ახობაძე

ფასების ცხრილი

#	CPV კოდი	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
1	30191400	ქაღალდის გამანადგურებელი (შრედერი) DELL E9930-EU	2	250.00	**500.00**
					სულ ჯამი: 500.00 ლარი დღგ-ს ჩათვლით

შენიშვნა: ერთეულის ფასსა და საერთო ღირებულების შორის სხვაობის შემთხვევაში უპირატესი გაეწიჭება ერთეულის ფასს.

შემსყიდველი:

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

გრიგოლ გიორგაძე

მიმწოდებელი:

შპს „კომპანია GEOSM"

თეიმურაზ ახობაძე

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

თარიღი: 7 დეკემბერი 2012 წელი

მიმწოდებელი: შპს „კომპანია GEOSM“

ხელშეკრულების № 635

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-8 მუხლს "ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები" ვადასტურებთ, რომ საქართველოს სასჯელარსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს თანამშრომლები ზემოაღნიშნულ მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით, რასაც ვადასტურებთ ხელისმოწერით:

ვიზირებულია:

1. გრიგოლ გიორგაძე
2. ამირან ჯეგისაშვილი
3. გივი ქემოკლიძე
4. შალვა ჯულაყიძე
5. ლაშა კახაძე

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა
და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს
ბატონ სოზარ სუბარს

გენერალური ინსპექციის უფროსის
მირზა სუბელიანის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო სოზარ,

გთხოვთ, გენერალური ინსპექციის სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, დაავალოთ ეკონომიკური დეპარტამენტის ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესყიდვების სამმართველოს, შემდეგი ინვენტარის შეძენა:

1. ერთჯერადი რიცხვითი პაროლის გენერირების მოწყობილობა (დიჯიპასი) – 2 ცალი.
2. კომპიუტერული მეხსიერების მყარი დისკი ყველაზე მაღალი ტევადობის - 2 ცალი. – 3 tera bait – 349 -ლარი.
3. ვიდეო კამერა - 2 ცალი.- panasonic hc-v100 – 496 ლარი.
4. შრედერი - 2 ცალი – 8 ფურცლიანი (ანადგურებს ბარათებს და სკრეპებს) – 250 ლარი.
5. მაგიდის სანათი - 2 ცალი
6. ტელევიზორი პლაზმური - 1 ცალი - toshiba 32 pb iv lcd 81- 499 ლარი.
7. სავიზიტო ბარათი - 50-50 (დეპ.უფროსს და მოადგილეს).
8. ფაქსიმილია - 2 ცალი (დეპ.უფროსს და მოადგილეს).
9. რკინის სეიფი - 2 ცალი.
10. მაცივარი (პატარა) - 1 ცალი - whirlpool (გარანტია 1 წელი) – 399 ლარი.

2.

პატივისცემით

მირზა სუბელიანი

დეპარტამენტის უფროსი

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი

ბრძანება №162

თბილისი

„21" 11 2012 წ.

ზოგიერთი სახის მომსახურებისა და საქონლის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვის შესახებ

გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, რაც დაკავშირებულია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) გამართულად ფუნქციონირებასთან, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2009 წლის 30 იანვრის №8 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა", „თ" და „ყ" ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ებ :

1. **გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდულ იქნეს:**

ა) ავტომობილების ტექნიკური მომსახურება - 300 ლარის ზღვრული ოდენობით;

ბ) ავტომობილის ხმამაღლა მოლაპარაკე და სირენა - 600 ლარის ზღვრული ოდენობით;

გ) ბეჭდები, შტამპები და ფაქსიმილიები - 75 ლარის ზღვრული ოდენობით;

დ) ბეჭდვითი მომსახურება - 250 ლარის ზღვრული ოდენობით;

ე) ანრების დამზადება - 30 ლარის ზღვრული ოდენობით;

ვ) სამინისტროს ლოგოიანი ბლოკნოტები - 200 ლარის ზღვრული ოდენობით;

ზ) კომპიუტერული ტექნიკა და აქსესუარები - 2000 ლარის ზღვრული ოდენობით;

თ) ვიდეოკამერები - 1000 ლარის ზღვრული ოდენობით;

ი) ქაღალდის გამანადგურებლები (შრედერები)- 500 ლარის ზღვრული ოდენობით;

კ) მაგიდის სანათები - 200 ლარის ზღვრული ოდენობით;

ლ) ტელევიზორი - 499 ლარის ზღვრული ოდენობით;

მ) ავტომანქანის რეცხვის ტალონები - 1000 ლარის ზღვრული ოდენობით.

2. **დაევალოს სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსს (ა.ჯეგისაშვილი) უზრუნველყოს შესაბამისი ხელშეკრულებების მომზადება.**

3. **ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.**

სოზარ სუბარი